არასრულფასოვანი კვების გეოგრაფია

თინათინ არჩვაძე

ელ-ფოსტა: Tinatin.archvadze1996@gmail.com

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. N3, საქართველო

ანოტაცია

დღესდღეობით საქართველოში მოსახლეობის დიდი ნაწილი საკვების დანაკლისს განიცდის და დღიური კალორიების ნორმის მცირე ნაწილს იღებს, ამას ემატება მოსახლეობის ცნობიერების დაბალი დონე ამ საკითხთან მიმართებაში, რომელიც ხელს უშლის სრულფასოვან კვებას.

საქართველოს მოსახლეობის უმეტესობა არასრულფასოვნად იკვებება. სპეციალისტები ფიქრობენ, რომ საკვების უქონლობის გარდა, ხალხის ჯანმრთელობას სერიოზულ პრობლემას უქმნის არასრულფასოვანი კვება. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ 2019 წლის „გლობალური შიმშილის ინდექსში“, საქართველო 117 ქვეყანას შორის 39-ე ადგილზეა. ეს კი, რა თქმა უნდა, არც ისე სახარბიელო მაჩვენებელია.

კვება ითვლება ნორმალურად, თუ ადამიანი დღეში იღებს 2600-2800 კილოკალორიას (კკალ). მიღებული კალორიების მიხედვით, ზოგადად მსოფლიოში მოსახლეობის მდგომარეობა, უკანასკნელ ათწლეულში გაუმჯობესდა. თუმცა განსხვავებაც თვალსაჩინოა. თუ განვითარებულ ქვეყნებში ერთ სულ მოსახლეზე 3400 კკალ მოდის, იგივე მაჩვენებელი ლათინურ ამერიკაში 2700-ის, ხოლო ცენტრალურ აფრიკაში 2000-ს აღწევს. კვების პროდუქტებში, განვითარებულ ქვეყნებში, ცხოველური წარმოშობისაა 1/3, ხოლო განვითრებადში 7%. ცხოველური წარმოშობის პროდუქტებს დიდი რაოდენობით მოიხმარენ ლათინური ამერიკის ქვეყნებში, რაც მესაქონლეობის განვითარებისათვის ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობებითაა განპირობებული.

საქართველოში აქტუალურია არასრულფასოვანი კვების პრობლემა, მთელი რიგი კვებითი ფაქტორების (ცილები, ცხიმები, მიკროელემენტები და სხვ.) დეფიციტი, რაც თავის მხრივ, მოსახლეობაში იწვევს ავიტამინოზს, ანემიებს, ბავშვებში ზრდისა და განვითარების შეფერხებას და სხვ. მსოფლიო ბანკის შეფასებებით, 5 წლამდე ასაკის ბავშვთა 3% საქართველოში არასრულფასოვნად იკვებება.

არასრულფასოვანი კვების გეოგრაფია, როგორც სოციალური და ინტეგრაციული გეოგრაფიის მიმართულება, შეისწავლის არასრულფასოვანი კვების გავრცელებასა და განაწილებას მსოფლიოში, ადამიანის მიერ დღეში მიღებული კალორიების ნორმებსა და მთელ რიგ არასრულყოფილი კვების გამომწვევ ფაქტორებს. მომავალში, ქვეყნისთვის, ამ დარგში გადადგმული ნებისმიერი ნაბიჯი მრავლისმომტანი იქნება. შესაძლებელი გახდება რეკომენდაციების გაცემა, სწავლება სრულყოფილ კვებასთან დაკავშირებით, ამასთან, საქართველოსთვის, როგორც განვითარებისკენ სწრაფი ტემპით მიმავალი ქვეყნისთვის, აუცილებელია, ყურადღების გამახვილება მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობასა და ზრუნვაზე.

ამრიგად, ეს ნაშრომი შეიძლება საწყის ნაბიჯად ჩაითვალოს, მომავალში უკვე საქართველოს მასშტაბით არასრულყოფილი კვების გეოგრაფიის შესწავლასა და მასთან დაკავშირებული პრობლემების დარეგულირებისკენ.

ლიტერატურა

[1] http://www.resonancedaily.com

[2] (.საქართველოში კვების ეროვნული კვლევა - ”ოქსფამის” ” ”ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების სტრატეგიის სრულყოფისა და მცირე ფერმერების მხარდაჭერის” პროექტი; თბილისი, 2016)

[3] www.worldbank.org